საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №276
2024 წლის 22 აგვისტო

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბიუჯეტის განმკარგველი - 4259 - ა(ა)იპ – „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„619	4259	ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის კულტურული პროექტების მართვის ცენტრი“;

ბ) ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

„876	4516	სსიპ — ჭიათურის სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტ. შემოქმედებითი ცენტრი“;

გ) ბიუჯეტის განმკარგველის - 5372 – ა(ა)იპ „რუსთავის მუნიციპალური რეფორმებისა და სერვისების განვითარების ცენტრი“ – შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

„1520[213]	5373	ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის სპორტის განვითარების ცენტრი“;
1520[214]	5374	ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის ახალგაზრდობის განათლებისა და განვითარების ცენტრი“;
1520[215]	5375	ა(ა)იპ ,,თბილისის სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური“;
1520[216]	5376	ა(ა)იპ „დეხვირის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ“.

.“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**